ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1968/2



1968 აპრილი N4

# დილა



შიო მღვიმელი

# ცაცას მერცხლები

მოფრინდნენ ჩემი მერცხლები,
ფრთაცქვიტები და მალები,
დედავ, რა ლამაზები აქვთ
გული, მკერდი და თვალები.
ყელ-ყურთ უმშვენებთ გარშემო
შემობნეული ხალები:
ზოგან უნაბის ფერები,
ზოგან კი ოდნავ მკრთალები.
ჩემი მერცხლები ბალ-თუთას
და მარწყვს არ ეტანებიან,
იჭერენ მავნე მწერებსა,
ჭიაღუებით მღებიან.

ნახატი იური ქლიბაძისა



დილა 40 დილა 40

დილა 40 დილა 40

ბავშვებო! ჩვენს ჟურნალს ორმოცი წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე „დილაში" ბევრი კარგი მოთხრობა, ლექსი და ზღაპარი დაიბეჭდა.

„დილის" გარშემო შემოკრებილნი იყვნენ და არიან ჩვენი სამშობლოს გამოჩენილი მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, პედაგოგები, მხატვრები, კომპოზიტორები. რედაქცია მუდამ ცდილობდა და ცდილობს ჟურნალი საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს.

„ოქტომბრელი" (ასე ერქვა ჩვენს ჟურნალს 1949 წლამდე) 1928 წელს ათას ცალამდე გამოდიოდა, დღეს ჩვენი მკითხველების რიცხვმა ასი ათასს გადააჭარბა.

ამ ნომერში შემოკლებით ვბეჭდავთ ქართველი მწერლების ზოგიერთ ნაწარმოებს, რომელიც ადრე „დილაში" გამოქვეყნდა.



დილა 40

10.682

## გილოცავს მურზილკა



მხურვალედ გილოცავთ იუბილეს ჩემი მკითხველები და მე—„მურზილკა".

მოსკოვი

ნინო ნაკაშიძე

# მამა გაახარა

ერთ საღამოს მამა სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა. ოთარიკო მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას და კიბეზე მიეგება, შეხედა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

— რა იყო, მამა, ავად ხარ?

— დავიღალე, შვილო, ბევრი ვიმუშავე.

მეორე დღეს დილით, როდესაც მამა ადგა, ადგა ოთარიკოც.

— რა ამბავია, შვილო, ასე ადრე რად ადექი?—ჰკითხა დედამ.

— მამას უნდა წავყვე სამუშაოდ, მივეხმარები და აღარ დაიღლება,—უპასუხა ოთარიკომ და ქუდი დაიხურა.

მამას გაეცინა, ბიჭუნა ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა:

— ყოჩაღ, ბიჭო, ისე გამახარე, რომ აწი აღარ დავიღლებიო!

გიორგი ქუჩიშვილი

# წერილი ბებიას

მუდამ, ჩემო სანატრელო,
საყვარელო ბები!
დაგკოცნი და დამიკოცნე
ყველა ნაცნობები.

ბები, ჩემო ტკბილო ბები,
აგრემც გენაცვლები,
მე ცალკე გამომიგზავნე
თეთრი ჩურჩხელები.

სხვა ხილიც არ დაივიწყო:
კომში, ვაშლი, მსხლები,
ჩამიჩი და ლეღვისჩირი,
თხილი და კაკლები.



ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა



„დილის" ავტორებსა და მრავალრიცხოვან მკითხველებს გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს! მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მოლოცვა და კეთილი სურვილები.

მოსკოვი




ВЕСЁЛЫЕ КАРТИНКИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგზავრები

ანა ხახუტაშვილი

ნახატი ვაჟა მელიქიშვილისა

მზიას და ბიძინას დედამ კანფეტები მისცა. მზიამ ისინი წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. ბიძინამ თვალი რომ შეასწრო, მზია გარეთ გამოიპატიჟა.

— აი, მზია, შეხედე, ვაშლების ყუთი ნამდვილ მატარებელს არა ჰგავს?! მოდი, ჩავსხდეთ, ვითომ მატარებელია და დიდედასთან წავიდეთ.

მზიას მოეწონა ძმის აზრი, კაბის კალთები შეისწორა და შიგ მოიკალათა. ბიძინამ მზიას ხასიათი კარგად იცოდა: საწოლზე ან სკამზე გოგონა ოდნავ რომ დაგერწიათ, იმწამსვე თვალებს დახუჭავდა და ჩაეძინებოდა. მამის ჩალის ქუდიც თავზე ჩამოაფხატა, ვითომ სამგზავროდ გამოაწყო.

— იჰ, როგორ გიხდება, დედაც კი ვერ გიცნობს,—ტაში შემოჰკრა ბიძინამ და მზიას გვერდით მიუჯდა.—აბა, მზია, ფრთხილად იყავი. მატარებელი ახლა მალე ხიდზე გავა და ძალიან შეტორტმანდება. კუ-კუ-კუ!..—დაიყვირა ბიძინამ და ყუთი ღონივრად შეატოკა. მზიას ეამა რწევა, ჯერ გაინაბა, მერე თვალები წალულა და ძილიც მოერია. ბიძინამ იდროვა და ხელი მზიას ჯიბისაკენ გააპარა.

— ქურდობისათვის, იცი, რა დღეს დაგაყრი?!—უცებ მოესმა ბიძინას მეზობლის ხმა და ხელი უკანვე ცივად წაიღო. ეგონა, განზრახვას მიუხვდნენ; ნამდვილად კი მეზობელი ძაღლს უჯავრდებოდა. ბიძინა ყუთიდან ამოვიდა, დედასთან გაიქცა და აღელვებით უთხრა:

— დედიკო, მზიას ჩაეძინა, ჩქარა, წამოიყვანე, კანფეტები არავინ მოპაროსო!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტყის კომედია

ვაჟა-ფშაველას პიესის მიხედვით

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა

1. დაბურულ ტყეში, მუხის ფესვებქვეშ თაგვ სონას ორმოში საუკეთესო გადარჩეული თხილი ჰქონდა შენახული ზამთრისათვის. ერთ მშვენიერ ღამეს კი...



ილია სიხარულიძე

## ცეკვა

აგერ ვაკე მინდორია,
ხეები დგას ირგვლივ ჯარად;
წრე შეუკრავთ პაწაწინებს,
წრეში მწკრივად ჩამომდგარან;
ისმის ტაში, მწყობრი ტაში,
ტრიალებენ, როგორც ჯარა;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“...
გამოუხტა ოთარიკო
და „ქართული“ დაუარა;
ფეხებს ისე ათამაშებს,
ბალახს არც კი დააკარა!
მზეხათუნა მასთან ცეკვავს,
გადაიქცნენ ნიავქარად;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“



2. ატირებულმა სონამ მეზობელ თებრონეს შესჩივლა გასაჭირი. თებრონემ ეჭვი სიმშილაანთ ოჯახზე მიიტანა.

3. ამ დროს ძერა გამოჩნდება და ორივე თაგვი სოროში შეძვრება.

4. თაგვ თებრონეს კარზე სიძე ბიჭი ცელქა მოადგა. მას გაეგო თებრონეს გასაჭირი.



# გულიკო

**ი. გრიშაშვილი**

ჰაწაწინა გულიკო,
საით მიეჩქარები?
გსურს პირველმა შეაღო
სასწავლებლის კარები!

თმებიც დაგივარცხნია,
გადაგიცვამს ახლები,
მიხვალ, მიაბაკუნებ
გოგონების თანხლებით.

დღეს პირველად გიჭირავს
რვეული და წიგნები...
გაიზრდები, გულიკო,
კარგი ქალი იქნები!

ნახატი **ზურაბ კაპანაძისა**



5. ცელქა ბიჭმა თებრონე დაიმედა:—ახლავე წავალ და იმ ქურდებს, მამასახლისსა და ნაცვალს თავზე დავაყენებო.



6. სიმშილაანთ ბინიდან დიდი ორომტრიალის, ტაშფან-დურისა და ჭიანურის ხმა ისმის. უცბად მათ კერაზე გამოი-ჭიმებიან მამასახლისი და ჩაფრები. მოპარული თხილი ჩაფ-რებმა კალათში იპოვეს და ქურდები თოკებით შეჰკონეს.



# ბევრზე ბევრი

**მარიჯანი**

გოგის ძალიან უყვარს ხილი, ტკბილეუ-ლი. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მოსვენება:

— ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი მინდა!

— ბები, მომე თხილი! ბევრი, ბევრი თხილი! ბევრი კანფეტი...

ერთხელ ბებიამ ჩაისვა გოგი კალთაში და დაუწყო ბაასი:

— გოგი, არ მომწონს, მაგისთანა თვალ-ხარბი რომ ხარ. რა ამბავია, სულ ბევრს და ბევრს გაიძახი. აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი!

— თავი ერთია!
ცხვირი — ერთი!
— პირი — ერთი!
— შუბლი — ერთი!
— თვალი ორი!
— ხელი — ორი!
— ფეხი — ორი!

გოგია ჩაფიქრებული უსმენდა.

ბები, შენ დაგავიწყდა, რომ თმა მაქვს ბევრზე ბევრი! — უთხრა გოგიამ.

ბებოს გაეცინა და ბევრი თხილი მისცა.



ნახატი **ვაჟა მელიქიშვილისა**



7. ტუსაღები ტყეში რომ მიჰყავდათ, უცბად მელე-ბის ხავილი მოესმათ. თაგვებმა შეკონილი ტუსაღები დაჰყარეს და თავს უშველეს.



# Mateřídouška

გულითადად გილოცავთ ძვირფას თარიღს. — დაარსებიდან ორმოცი წლისთავს! გაუმარ-ჯოს ჩეხი და ქართველი ბავშვების მეგობ-რობას!

ჩეხოსლოვაკია





დილა მშვიდობისა, მეგობრებო. დაე, „დილა" იყოს ყოველთვის კეთილი და საინტერესო. ღირსეულად აღგეზარდოთ საქართველოს მომავალი თაობა— სამშობლოს დიდი იმედი!

უზბეკეთი

ҒУНЧА

# ყვანჩალა და ცანცალა

მურმან ლებანიძე

ჰაი, ჰაი, უსირცხვილო ყვანჩალავ!
ჩემს ბაჭიას ნაცარას და ცანცალას,
თავზე თოვლი დააყარე ურცხვადა—
ვაჰ, თუ სურდო შეეყარა უცბადა!..
გაკვირვებით რას დამყურებ ტოტიდან!
მანდ დაფრენა რალა ახლა მოგინდა!
...ნურც ყოფილა ქვეყნად ჩემი ბაჭია,
ნურც გამზრდია, ნურც გამხდარა კურდღელი,
თუ კი შენებრ გაიზრდება უზრდელი!

# ნინიკო და ცუგო

თამარ ჩხაიძე

ნინიკო ეზოში გამოცქრიალდა. ხელში პური ეჭირა. ხტუნვა-ხტუნვით და კუდის ქნევით ცუგო გამოეგება.

— ცუგო, ცუგო, ყველი და პური გინდა?!

— ჰამ, ჰამ!

შესანსლა ცუგომ ყველი და პური თუ არა, ნინიკოს დედაც მოვიდა.

— ნინიკო, ყველი და პური შეჭამე?

— ჰო!

— აბა, დედა დაიფიცე!

— ცუგომ დაიფიცოს!



ნახატები გიორგი რონიშვილისა

## ამბავი გოგონა ნაზოსი და თოჯინა კატოსი.







# ყანჩა

როდიონ ქორქია

ყანჩას უყვარს თევზი. ჩადგება წყალში, აიკეცავს ცალ ფეხს და უთვალთვალებს თევზს.

— რატომ არის, რომ ყანჩა ცალ ფეხზე დგას და ისე ნადირობს?—ჰკითხა სიკომ მამას.

— იმიტომ, შვილო, ორივე ფეხი თუ აიკეცა, წყალში ჩავარდება,—გაეხუმრა მამა.



«ვესიოლიე კარტინკიდან»



## მელაკუდა

მ—თქვა: — ავად ვარ,
იცით ჩემი წამალი?
თუ გსურთ მოვრჩე,
მომმართვით

ქ. გოგიაშვილი



გამოცანა

ცალფეხაა
ტრიალა,
ეწოდება.......

ალ. საჩინოელი



„დილის" დღესასწაულზე „სლავეიჩეს" სურს გიმღეროთ ყველაზე მომხიბვლელი სიმღერა.

ბულგარეთი

Славейче

# ლენინი

იოსებ ნონეშვილი

— სწავლა, სწავლა და კვლავ სწავლა!
ლენინმა გვითხრა პატარებს,
მშობლის ამ რჩევას, ამ სიტყვებს
გულში სათუთად ვატარებთ.

გვიყვარდეს დედა სამშობლო,
მარად მის სახელს ვფიცავდეთ!
ლენინის ანდერძს, ამ სიტყვებს
დავიწერთ გულის ფიცარზე.





## დილა მშვიდობისა

მაყვალა მრევლიშვილი

— ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
— შენ გიგალობ, პატარავ, —
დილა მშვიდობისა!
— მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
— გაიღვიმე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
— შენთვის მინდა, პატარავ,
აბა, დამაკვირდი!
— მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
— დილა მშვიდობისა!

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა



## БАРВІНОК

„ბარვინოკის" რედაქცია გულწრფელად ულოცავს თავის ქართველ ძმას სახელოვან იუბილეს. უკრაინელი ბავშვები ძმურად ესალმებიან ქართველ ბავშვებს.

უკრაინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათლია მელია

ხალხური ზღაპარი

ერთი ცბიერი მელა გარბოდა და გაჰკიოდა:

— არიქა, ქვეყნიერება იქცევა!

შემოხვდა დათვი და თან გაიყოლია. მალე მათ მშიერი მგელი შემოეყარათ.

— სად მიეშურებით?—იკითხა მან.

— ცა და ქვეყანა იქცევა და იქნება დავიმალოთო!

— მიამხანაგეთო!

წაიყოლიეს მგელიც. შემოეფეთათ ირემი. იმასაც ეგრე უთხრეს და ისიც თან წაიყოლიეს. გზადაგზა აედევნათ ჯიხვი, არჩვი, ჯეირანი და კურდღელი. წინ მელია მიუძღვებოდა მათ, ვითომც დიდი მზრუნველი და ამხანაგების გადამრჩენი ყოფილიყო.

შეიხიზნენ ერთ გამოქვაბულ კლდეში და დაიწყეს ერთად ცხოვრება უბედურების მოლოდინში.

— მოდი, ერთი სოფლობა ვქნათ,—მიმართა მელამ ამხანაგებს,—მე ბატონი, დათვი ბატონი, მგელი ბატონი, ჯიხვი ბატონი, არჩვი ბატონი, კურდღელი რას გვიკეთებს, ერთი ვიკითხოთ!—ეძგერნენ და ლუკმა-ლუკმა გაინაწილეს. ქონი ქვევრში შეინახეს. მეორე დილას მეთაური მელა ჭიდევ ბჭობს:



— მე ბატონი, დათვი ბატონი, მგელი ბატონი, არჩვი ბატონი, ჯეირანი რას გვიკეთებს, ერთი ვიკითხოთ!—ეძგერნენ და ლუკმა-ლუკმა შესანსლეს საცოდავი ჯეირანი. ქონი ქვევრში შეინახეს. მიჰყვნენ ასე ამნაირად და დარჩა მარტო დათვი და მელა. ქვევრში ბევრი ქონი დაუგროვდათ. მოშივდა მელას. რა ქნას ახლა? შეინავარდა მახლობელ გორაზე, ვერაფერი იშოვა და შინ დაბრუნდა.

— ამ გორის იქით ნათლობაში დამპატიჟეს და რა ვქნაო?—მიმართა დათვს.

— წადი, ოღონდ ცოტა რამ მეც მარგე, ცოდვა ვარ, სასუსნავი წამომიღეო!

წავიდა მელა, გაეცალა დათვს, ჩუმად ქვევრი მოხადა და ქონის ზედა ნაწილი შეჭამა. დაბრუნებისას დათვი შეეკითხა:

— რა დაარქვი ნათლულსაო?

— თავმოფხოჭვილა! საჭმელი ვერა წამოგიღე რა, მალე გაათავესო!

მეორე დღესაც ასევე მოიქცა ეშმაკი მელა, ვითომ სხვა ბავშვის მოსანათლად წავიდა. ქონი შუაგულამდის დაიყვანა. რომ დაბრუნდა, დათვი შეეკითხა:

— რა დაარქვი მეორე ნათლულსაო?

— შუაგულაო!

მესამე დღესაც ისევ ქვევრისაკენ გაცუნცულდა მელა, დათვს კი უთხრა:—ნათლობაში მიწვევენო!—ბოლომდის დაიყვანა ქონი ამ უკანასკნელად, ქვევრს ძირი ბეჯითად ამოუწმინდა. რომ დაბრუნდა, დათვმა ჰკითხა:

— რა დაარქვი მესამე ნათლულსაო?

— ბოლომოწმენდილაო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა სამშობლოზე



ხუტა ბერულავა

ჩვენ გვამღერებს ცაზე ნისლი
და მიწაზე ნაკადული,
ბექობიდან შეძახილი
მთის უბეში დაკარგული.

ჩვენ გვამღერებს ჩვენი კერა,
ჩვენი გმირი წინაპარი,
ბუხრის პირას გაგონილი
ძველი ლექსი და ზღაპარი.

ჩვენ გვამღერებს, ჩვენ გვალღევებს
ჩვენი მიწა და მამული,
ჩვენი ტკბილი საქართველო,
გმირთა სისხლით ღანამული.

ნახატი **ზურაბ რაზმაძისა**

ამის შემდეგ ჩავარდა საგონებელში მშიერი მელა, გათავდა ყველაფერი. რა ხერხი მოიგონოს? ცარიელი კუჭი რილათი ამოივსოს? საწყალი დათვი ძლივს დაბაჯბაჯებდა, ისე შიოდა, სიკვდილის პირზე იყო მისული.

— მართლა, ჩვენ რომ ქვევრში ქონი შევინახეთ, რად არ მივაკითხავთ?—წარმოთქვა გაიძვერა მელამ, თითქოს ახლა გაახსენდა. მივიდნენ ქვევრთან. მელამ მოხადა ქვევრი დიდი მზრუნველობით და ფაციფუცით.

— დააჭყიტე თვალები, დათუნა, შეხე, რა სიმდიდრე გვაქვს!—დააჭყიტა თვალი გულუბრყვილო დათვმა. თურმე მელას ნაცრით გაუვსია ქვევრი, შეუბერა სული ნაცარს და ისეთი კორიანტელი დადგა, დათვს თვალები ნაცრით გაევსო და დაბრმავდა...

ბოლოს ერთ მაღალ კლდეზე მიიტყუა მელამ იგი, და საბრალო ბრმა დათვი გადაიჩეხა ხევ-ხუვებში! ჩაცუნცულდა მერე ხევში მსუნაგი მელა, მიცუცქდა და ხარბად გაჰკრა კბილი მწარედ მოტყუებულ დათვს.

დამუშავებული **შოთა ძიძიგურის** მიერ
ნახატები **ზურაბ ფორჩხიძისა**

# Балдырған

ყოველ „დილას" ქართველი ბავშვებისათვის მუდამ ამოჰყოლოდეს ცხრათვალა მზე!

ყაზახეთი

# ВЯСЁЛКА

დაე, ყოველმა ახალმა „დილამ" მზიური საქართველოს ბავშვებს მოუტანოს დილის სიხარული!

ბელორუსია



## ზურაბის ჩივილი

ირაკლი აბაშიძე

ყველა, ყველა მაწუხებს —
ნუნუ, ბელა, თამრიკო:
— უფრო მეტად ვინ გიყვარს;
დედიკო, თუ მამიკო?—

ყველას, ყველას ვპასუხობ,
მაგრამ ვერვინ გამიგო:
— უფრო მეტად ვინ მიყვარს?
დედიკო და მამიკო.

## საქანელა

გიორგი კაჭახიძე

მხიარული თინათინი
საქანელამ გაახარა,
ზედ დასკუპდა, გაიცინა,
აქანა, დააქანა.

— ერთი, ორი... ერთი, ორი...—
აღტაცებით ითვლის ბავშვი.
ეზოს ისე გადასცქერის,
თითქოს იჯდეს თვითმფრინავში.




ძვირფასო რედაქცია „ტაჰეკე"
გიგზავნით გულთბილ მოლოცვას.
ესტონეთი
TÄHEKE

მუდამ იფურჩქნებოდეს საყვარელი „დილა"—ჩვენი ძვირფასი მეგობარი!
ლატვია
ZILITE

მარად უნათებდეს საქართველოს ბავშვებს მხურვალე მზე და ახარებდეთ „დილა".
ლიტვა
GENYS


## რას ჟღურტულებენ ჩიტები?!

გიორგი შატბერაშვილი

რად აწყდებიან ფანჯარას,
რას ჟღურტულებენ ჩიტები?
ადექით, დილა გათენდა
გამარჯვების და დიდების!
ადექით, სწრაფად ჩაიცვით,
შეკონეთ ია-ვარდები,
გამარჯვების დღე მოსულა,
გადაიყარეთ დარდები!



## საგაზაფხულო სიმღერა

არნო ონელი

— საიდან მოდის ნინო?
— საიდან მოდის ნელი?
— საიდან მოდის ნანა?

ნინო, ნელი და ნანა
მოდიან სკოლიდანა.

ნახატი თენგიზ სამსონაძისა

10. 682

## გაზაფხული

გრიგოლ აბაშიძე

აღარც ქარი, აღარც სუსხი,
აღარც თოვლის ნარჩენია,
ტყემლის ყვავილს ფიფქი სცვივა,
ატმებს ცეცხლი გაჩენია.

ცის ლაჟვარდში ტოროლები,
აივანზე მერცხლებია,
გამოსულან პატარები,
მათი ცქერით ვერ ძღებიან.

## კომში, კომში, კომარა

ნიკოლოზ ჩაჩავა

კომში, კომში, კომარა,
მომეც დიდი ტომარა,
ბებოს მივურბენინებ,
ბებო არ მაწყენინებს,
გამომიტანს ჩურჩხელას
ამოდენას, ამხელას.
თავს მოვუკრავ ტომარას.
კომში, კომში კომარა,
ზურგზე წამოვიკიდებ,
ვითომ მძიმად ვიყიდე.
დიდ გზას გამოვატარებ,
დავურიგებ პატარებს:
ბევრს შენ მოგცემ,
ბევრს სხვას მივცემ,
ბევრსაც მე დავიტოვებ.




Көјәрчин

„გოიარჩინი"
ძმურად ულოცავს
თავის ახლობელ
მეგობარს ორმოცი წლისთავს!
ჩვენი ჟურნალის
სახელწოდება ა
მჭრელი, — მშვიდობა ნუ მოგკლებოდეთ!
აზერბაიჯანი



## ჩვენი დედაქალაქი

**რევაზ მარგიანი**

ჩვენი ქვეყნის სილამაზე,
უწმინდესი ალაგი —
საყვარელი თბილისია
ჩვენი დედაქალაქი.

საქართველოს გული არის,
სიმტკიცე და სინდისი,
უძველესი და ახალი
ჩვენი დედათბილისი.



## ჩემი ხათუნა

**ალეკო შენგელია**

ვიშ, როგორ დახატულა,
ჩემი ცელქი ხათუნა...

დედოფალას გაებუტა,
მოეფერა დათუნას,
დათუნიამ მეგობრულად
თათი მოუთათუნა.

ნახატები ელ. ამბოკაძისა



## ԾԻԾԵՌՆԱԿ



„დილა“ მხურვა-
ლედ ათბობს ქარ-
თველი ბავშვების
გულს. იცოცხლეთ,
მრავალჟამიერ!

სომხეთი

## ცანგალა და გოგონა

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

დღეობა აქვს მელაკუდას,
უქნარას და ბობოლას.
აბა, განი,
განი, განი,
დათუნია მოგორავს...
ჩოხიანმა ყურცქვიტებმა
დააყარეს ქოქოლა,
აბრიალდა ფარშევანგი,
როგორც ჭიაკოკონა.
ცანგალა და გოგონა,
ცანგალა და გოგონა,
— კაი დახლი დაგიდგებათ,
თუ გაგიგოთ ბომბორამ!

## Амцабз

სულითა და გულით მოგესალ-
მები ჩემო უფროსო ძმაო. იყა-
ვი აფხაზივით დღეგრძელი.

აფხაზეთი



# ლომი და ხარები

იგავი

ლომი ორ ხარს თავს დაესხა, მაგრამ ხარები მეგობრულად შეერთდნენ, რქენა დაუწყეს და მოიგერიეს.

მაშინ ლომმა ხერხს მიმართა და ერთ ხარს უთხრა:

— თუ მეგობარს მოშორდები, შენ არაფერს გავნებო.

ხარმა დაუჯერა და მეგობარს მოშორდა. ამით ისარგებლა ლომმა,— ჯერ ერთი ხარი გაგლიჯა და შემდეგ— მეორე.

სერგო კლდიაშვილი        ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა

## მეხვალია

გრიგოლ იმედაძე

მუდამ წრებურთის თამაშობდა,
მუდამ იყო დათენთილი,
ერთხელაც ვერ მოამზადა
რიგიანად გაკვეთილი.

შეხეთ, შეხეთ, ბეჯითები
როცა ხუთებს შეჰხარიან,
თავკომბალა ორიანებს
წყრომით უცქერს მეხვალია.

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.
სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა,
იორამ ქემერტელიძე, (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რეზო ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი ჯემალ ლოლუასი        ტექრედაქტორი გიორგი როინიშვილი

გამოცემის 41-ე წელი.        რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. გამომც. შეკვ. № 294. სტამბის შეკვ. № 283. ტირაჟი 105.800. ქაღ. ზომა 60×90 $^1/_8$ ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/II-68 წ.
ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14. „ДИЛА" № 4 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91 ტელ. 5-37-88. 5-18-09        ფასი 20 კაპ.

ნ 109/86

ეროვნული ბიბლიოთეკა

76055



ნახატი **სოსო გაბაშვილისა** (ილუსტრაცია პ. ჭანიშვილის ზღაპრისათვის „ბუ“).